მე- 7 კლასი
ისტორია

პროექტი

თემა: ქართული ხორბლის ჯიშების ისტორია და ღვინის დაყენების უძველესი ქართული წესები.

პროექტის მიზანი

- ამ პროექტის მიზანი არის შევისწავლოთ ქართული ხორბლის ჯიშების ისტორია და ღვინის დაყენების უძველესი ქართული წესები, გავეცნოთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ საკითხთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ კვლევებსა და აღმოჩენებს, შევძლოთ ჩვენი ქვეყნის სამიწათმოქმედო კულტურის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა, კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა დავუკავშიროთ ყოველდღიურ ცხოვრებას.

ქართული ხორბალი და საქართველო - ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი უძველესი კერა

საქართველო - ხორბლის კულტურის უძველესი კერა - გამოირჩევა ამ მცენარის დიდი სახეობრივი და ჯიშობრივი მრავალფეროვნებითა და ენდემიზმის მაღალი დონით.

- ისტორიული წყაროებით, ხორბალი საქართველოში ჯერ კიდევ ნეოლითსა და ადრებრინჯაოს პერიოდებიდან არის ცნობილი,
- სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 20 სახეობიდან 12 სახეობის სამშობლოა წინა აზია, ხოლო 8 სახეობა წარმოიშვა სამხრეთ კავკასიიდან. მათგან 5 — საქართველოს ენდემია:
- სულ საქართველოში აღწერილია ხორბლის 14 სახეობა, 150-ზე მეტი სახესხვაობა, ფორმა და აბორიგენული ჯიში.

- *1. მონოკოკკუმი;*
- *2. დიკოკკუმი;*
- *3. ტიმოფეევი;*
- *4. გეორგიკუმი-პალეოკოლხიკუმი;*
- *5. ქართლიკუმი-პერსიკუმი-დიკა;*
- *6. დურუმი;*
- *7. ტურგიდუმი;*
- *8. პოლონიკუმი;*
- *9. ტურანიკუმი-ორიენტალე;*
- *10. ესტივუმი;*
- *11. სპელტა;*
- *12. კოპაქტუმი;*
- *13. მახა;*
- *14. ჟუკოვსკი.*

საქართველო ხორბლისა და პურის სამშობლო

ხორბლის ფქვილისგან დამზადებული პროდუქტი

წითელი დოლის ცეხვილი - მონასტრის პური ბუნებრივი საფუარით

ქართული თონის პური

ქარხნული წარმოების პური

ხორბლის ფქვილი - საკონდიტრო წარმოებაში

საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა

- საქართველო ითვლება მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად და ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში, რასაც ადასტურებს, გარეული და კულტურული აბორიგენული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება,
- ვაზი საქართველოში ფართოდ გამოიყენება. იყენებენ ყურძნისგან დაწურულ წვენს, ამზადებენ ბადაგს, თათარას და ჩურჩხელებს, გამოიყენება საჩამიჩედ, არსებობს დეკორატიული ჯიშები. იყენებენ სამკურნალოდ: გულსისხლძარღვთა დაავადებისა და სისხლის ნაკლებობის დროს.

ქართული ვაზის ისტორია და ვაზის ჯიშები

- საქართველო ითვლება კულტურული ვაზის (Vitis viniferaL) წარმოშობის ერთ–ერთ პირველ ცენტრად. სავარაუდოდ, ძვ. წ. აღ. 6000–4000 წლებიდან მომდინარეობს ვაზის სელექცია. აქედან, კულტურული ვაზი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს ამერიკაში.
- მსოფლიოში ცნობილია ვაზის 4000-მდე ჯიში. საქართველოში ვაზის 450-მდე ადგილობრივი ჯიშია, რომელთაგან სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია 62 ჯიში, მათ შორის 29 საღვინე და 9 სუფრის. ივანე ჯავახიშვილს თავის წიგნში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ვაზის 413 ჯიში აქვს აღნიშნული.

ქართული ვაზი

ღვინის ისტორია

- ღვინის ისტორია ნეოლითის ხანაში დაიწყო და ამის ნაკვალევი ყველაზე ცხადად ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდა. რამდენიმე ათეული წლის წინ, ქვემო ქართლში თბილისის სამხრეთით, მარნეულის ველზე, *დანგრეული გორა* ნასახლარში არქეოლოგებმა ძვ.წ. VI-V ათასწლეულების ვაზის რამდენიმე წიპწა აღმოაჩინეს და მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი ვაზის კულტურულ სახეობას, მიაკუთვნეს.

ქართული ღვინო

- საქართველოში ღვინოს ოდითგანვე ქვევრში აყენებდნენ. ეს არის თიხის უნიკალური ჭურჭელი, რომელიც მიწაში იდგმება, შიგნით ყურძენი ჩაიწურება, დადუღდება, შემდეგ ჰერმეტულად თიხითვე იხურება და იწყება ემოციური მოლოდინი – რა დაგვხვდება, როდესაც ქვევრს მოვხდით.

- საქართველოში დღეს ოფიციალურად 27 ადგილწარმოშობის ღვინო არსებობს. ესენია: ატენური, ახაშენი, გურჯაანი, ვაზისუბანი, თელიანი, კარდანახი, კახეთი, მანავი, მუკუზანი, ნაფარეული, სვირი, ტვიში, ტიბაანი, ქინძმარაული, ყვარელი, წინანდალი, ხვანჭკარა, კოტეხი, ხაშმის საფერავი, ბოლნისი, სალხინოს ოჯალეში, ახმეტა, წარაფი, ახოები, მაღრაანის ქისი, ზეგაანი და ოყურეშის უსახელოური.

უძველესი ქვევრები

- ქვევრის პროტოტიპი ჭურჭელი ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში შეიქმნა. საქართველოში ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის არაერთი ქვევრია აღმოჩენილი, თუმცა პირველი ქვევრი, რომელზეც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ღვინის შესანახად გამოიყენებოდა, ადრე რკინის ხანისაა (ძვ. წ. VII ს.), ესაა ბრტყელძირიანი და ქვის სარქველიანი ქვევრი, რომლის მხრებსაც ირგვლივ სამი სწორი და ორი ტალღული ორნამენტი მიუყვება

ქვევრის ღვინო

ქართული ღვინის მარანი

ქართული ღვინის წარმოება

ყურძნის წვენისგან ნაწარმოები ქართული პროდუქტი ჩურჩხელა

- **ჩურჩხელა**, *ჯანჯუხა* — ქართული ტკბილეული, ნიგვზის ან თხილის ნატეხები, ამოვლებული თათარაში (ყურძნის წვენისგან დამზადებული ტკბილი ფაფა). საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. განსაკუთრებით გამოიყენება საახალწლო და სხვა სადღესასწაულო დღეებში.

სტუმრად იმერულ მარანში

თონის პურისა და ხაჭაპურის ცხობის მასტერკლასი

ჩურჩხელის დამზადება

სტუმრად საზანოს ღვინის მარნის საცავში, სადაც მიმდინარეობს ღვინის დაძველება

გმადლობთ ყურადღებისთვის!